

13 აგვისტო, 2014

+++ AGRO NEWS GEORGIA +++

თეთრი ქუდი აპირებს აწარმოოს 1 500-1 600 ტ სოკო

სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ სოკოს მწარმოებელი თეთრი ქუდი (White Hat), რომელმაც მიიღო დაფინანსება შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, აპირებს წელს გაზარდოს წარმოება შარშანდელი 1 300 ტ-დან 1 500-1 600 ტონამდე. კომპანიამ გამოიყენა შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხი 600 000 აშშ დოლარი საწარმოს გადაიარაღების და გაფართოებისთვის, რის შედეგადაც 25%-ით გაიზარდა მწარმოებლობა, აცხადებენ სამინისტროში. ასევე გაიზარდა თანამშრომელთა რაოდენობა: 120-დან - 2013 წელს 170-მდე წელს. თეთრი ქუდი გეგმავს ასევე შეუერთდეს უახლოეს მომავალში მთავრობის მიერ ინიცირებულ პროგრამას "აწარმოე საქართველოში".

DAILY NEWS, 12 აგვისტო, 2014

ხილი და ბოსტნეული თითქმის 100%-ით გაძვირდა

გაზეთის ცნობით, 1 კგ პომიდორი ღირს 0,80-1,50 ლარი (წინა წლის 0,50-0,60 ლართან შედარებით), კიტრი 0,70 ლარი (1 ლარი 4 კგ-ზე გასულ წელს), ატამი 1 ლარი (0,40-0,50 ლარი) და ა.შ. ექსპერტი ნოდარ კაპანაძე აკავშირებს ფასების ზრდას რუსეთის ბაზრის გახსნას ქართული ნაწარმისთვის. „ფასი გაიზარდა ძირითადად იმ პროდუქციაზე, რაც გადის ექსპორტზე“, აცხადებს ის. კაპანაძის პროგნოზით, "თუ მოთხოვნა ექსპორტზე შენარჩუნდება გრძელვადიან პერსპექტივაში, ფასი კიდევ გაიზარდება, მაგრამ არა ასეთი სისწრაფით".

ECONOMIC PRESS MONITOR, 12 აგვისტო, 2014

საქართველოდან 6 150 ტ სოფლის მეურნეობის პროდუქტი გაიტანეს რუსეთში ექსპორტზე 6 თვის განმავლობაში

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტმა რუსეთში იანვარ-ივლისში 6 156 ტ შეადგინა. ამ რაოდენობის ძირითადი ნაწილი ციტრუსებზე და ხილზე მოდის (2 567 ტ და 2 258 ტ, შესაბამისად). ექსპორტი მოიცავდა ასევე 1 062 ტ დაფნის ფოთოლს, 188 ტ ჩაის, 80 ტ ბოსტნეულს და 1 ტონა ხმელ სუნელს, განაცხადეს სააგენტოში.

DAILY NEWS, 8 აგვისტო, 2014

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ მემორანდუმი გააფორმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ დღეს ხელი მოაწერა მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერაციას და ფერმერთა, ფრინველის და ყველის მწარმოებლების ასოციაციებთან. "მემორანდუმი ამყარებს მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიასა და იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლით ქვეყანაში", განაცხადა ლაბორატორიის გამგე ლალი მამდარაშვილმა. სამინისტროს ცნობით, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის სისტემა იყო ძირითადი თემა მოლაპარაკებებში, რომელიც ჩატარდა საქართველოს და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით.

DAILY NEWS, 7 აგვისტო, 2014

პეკინის ღვინის გამოფენაზე საქართველო წარმოდგენილი იყო 16 კომპანიით

ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, 16 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია მონაწილეობდა 2014 ბეიჯინგის (იანქინგ) ღვინის საერთაშორისო გამოფენაში. ეს კომპანიებია კახური ტრადიციული მეღვინეობა, ბესინი, ვაზიანი, კახური, მეღვინე, შალვინო, კორპორაცია ქინძმარაული, თელიანი ველი, მეღვინეობა ხარება, კახეთის ღვინის მარანი, ქინძმარაულის მარანი, თელავის ღვინის მარანი, შუმი, ქიმერიონი, დუგლაძეების ღვინის კომპანია და კორპორაცია ქართული ღვინო. გამოფენის ფარგლებში დებრა მეიბერგმა, სააგენტოს მიერ დაქირავებულმა Meiburg Wine Media-ს უფროსმა, გამართა ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაცია, რომელსაც დაახლოებით 100 სტუმარი

დაესწრო, განაცხადეს სააგენტოში. სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს ექსპორტი ჩინეთში 728 238 ბოთლი (0,75 ლ) იყო ივლისისთვის, რაც წლიურ 14%-იან ზრდას გულისხმობს. ამ წლის 6 თვის განმავლობაში ჩინეთი მე-5 ადგილზე იყო ქართული ღვინის ექსპორტის ბაზრებს შორის.

DAILY NEWS, 5 აგვისტო, 2014

სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მაგრამ შემცირდა თვეების მიხედვით

საქსტატის მონაცემებით, ინფლაცია 2,8% იყო ივლისისთვის 2013 წლის იმავე თვესთან შედარებით. მნიშვნელოვანი წილის გამო, წლიური ინფლაციის ფორმირებაში ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს საკვების და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფს (წლიური ფასების ზრდა 3,4%) 1,11 პროცენტული პუნქტი. ფასები გაიზარდა ასევე ჯანდაცვის (4,7%, წვლილი ინფლაციაში 0,53 პუნქტი) და ტრანსპორტის სფეროში (3,6%, წვლილი 0,53 პუნქტი). ივნისთან შედარებით, დეფლაცია იყო 0,6%. საკვებზე და უალკოჰოლო სასმელებზე ფასი შემცირდა 2,1%-ით (უარყოფითი წვლილი 0,62 პროცენტული პუნქტი), გაიზარდა ჯანდაცვაზე 0,7%-ით (დადებითი წვლილი 0,07 პუნქტი). შედარებისთვის, წლიური ინფლაცია ივნისში იყო 2%. ფასები გაიზარდა 5,6% ჯანდაცვის სფეროში, ხოლო 0,7% საკვებზე და უალკოჰოლო სასმელებზე. ივნისის თვეში დეფლაცია იყო 0,9%-მდე. ფასები სურსათზე და უალკოჰოლო სასმელებზე შემცირდა 3,5%-ით.

DAILY NEWS, 4 აგვისტო, 2014

სასათბურე მეურნეობები მოეწყობა რუსთავში

პრემიერ-მინისტრმა გამოსცა ბრძანება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი თბილისი-რუსთავის გზატკეცილის გასწვრივ გადაეცეს შპს *რუსთავფარმს* პირდაპირი მიყიდვის წესით 300 000 ლარად. საქმე ეხება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 135 782 კვადრატულ მ-ს 17 ნაგებობით. პრივატიზების პირობები მოიცავს ვალდებულებას აღნიშნულ ტერიტორიაზე სასათბურე მეურნეობის (ან სასათბურე კომპლექსის) აშენების შესახებ 24 თვის ვადაში ხელშეკრულების გაფორმებიდან. ამ პერიოდში, ინვესტიციებმა უნდა შეადგინოს სულ მცირე 8,2 მილიონი ლარი მაინც. ამ შეთანხმების ხელმოწერამდე *რუსთავფარმი* ვალდებულია წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ინვესტიციების 10%-ის ოდენობით, რომლის ხანგრძლივობა უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების ვადებს 3 თვით.

DAILY NEWS, 18 ივლისი, 2014

გვალვამ გაანადგურა ხორბლის მოსავალი

სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი ომარ კაჭარავა აცხადებს, რომ დაითესა 85 000-90 000 ჰა, გასული წლის 43 000 ჰა-ს ნაცვლად. კაჭარავა აღნიშნავს, რომ "ამ წელს გვალვა იყო დედოფლისწყაროში, ისევე როგორც მთელი კახეთის რეგიონში. იგივე მდგომარეობაა შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში". "ჩვენი წარმომადგენლები მუშაობენ ადგილზე სიტუაციის დაზუსტებაზე, რადგანაც შედარებით უკეთესი სიტუაციაა ზოგიერთ რაიონში, ხოლო ზოგან ძალიან მძიმე", აცხადებს ის. იმისათვის, რომ უზრუნველყოს სასურსათო უსაფრთხოება, საქართველოს სჭირდება 700 000-800 000 ტ ხორბალი ყოველწლიურად, აქედან ადგილობრივი წარმოების ანგარიშზე მხოლოდ 12-13%-ია (გამოქვეყნდა 18 ივლისს).

ECONOMIC PRESS MONITOR, 21 ივლისი, 2014

მეფრინველობის და ფურაჟის მეურნეობა აშენდება გორის მუნიციპალიტეტში

პრემიერ-მინისტრმა გამოსცა ბრძანება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გორის მუნიციპალიტეტში ინდივიდუალური მეწარმე თემურ გიგაშვილისთვის პირდაპირი მიყიდვის წესით 1 ლარად გადაცემის შესახებ. საქმე ეხება 5 000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო ფართობს 3 ნაგებობით. საპრივატიზაციო პირობები აღნიშნულ ქონებაზე, რომელიც გადაცემულ იქნა სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, მოიცავს ფრინველის და საქონლის საკვების მწარმოებელი მეურნეობის მოწყობას ტერიტორიაზე და წარმოების 24 თვის განმავლობაში დაწყებას პრივატიზაციის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ამ მიზნით ახალმა მფლობელმა უნდა მოახდინოს 14 4000 ლარის ინვესტირება და აქედან 25%-ის ინვესტირება უნდა მოხდეს უკვე პირველ წელს. ახალმა საწარმომ უნდა შეინარჩუნოს საქმიანობის პროფილი მინიმუმ 2 წლის

განმავლობაში და აწარმოოს მინიმუმ 900 ტ ფრინველი, ასევე თევზის და ქათმის საკვები ამ პერიოდის განმავლობაში (ამ მოცულობის მინიმუმ 25% უნდა იყოს წარმოებული პირველ წელს). შეთანხმების ხელმოწერამდე გიგაშვილმა უნდა წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია მოსალოდნელი საინვესტიციო მოცულობის მინიმუმ 10%-ის ოდენობით.
DAILY NEWS, 21 ივლისი, 2014

TCF-საქართველო აწარმოებს 2 მლნ-მდე ყუთს სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის წელს

აჭარის მთავრობის ცნობით, ქობულეთის საწარმო TCF-საქართველო, რომელიც ჩართულია ხილის შესაფუთი ტარის წარმოებაში, წელს აწარმოებს 2 მილიონამდე ყუთს სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის. ამ დროისათვის 300 000 პლასტმასის ყუთი უკვე მზად არის რეალიზაციისთვის, ხოლო სრული დატვირთვის შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია აწარმოოს 14 000 ყუთი ყოველდღიურად, განაცხადეს მთავრობაში. "ყუთები უკვე მიეწოდება კახეთის რეგიონს, სადაც ისინი გამოიყენება ატმის შეფუთვისთვის. საწარმოს შეუძლია აწარმოოს 4 სახის ყუთი სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის შესაფუთად", განაცხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ საწარმოში სტუმრობისას დღეს. TCF-საქართველო დაფუძნდა 22 აგვისტოს, 2012 წელს. საწარმო ჩართულია ხილისა და ბოსტნეულის პლასტმასის, ხის და მუყაოს ტარის წარმოებაში.

DAILY NEWS, 23 ივლისი, 2014

ფერმერების რეესტრი შეიქმნება

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების (2014-2020) სტრატეგიის თანხმად, ფერმერთა რეესტრი შეიქმნება. დოკუმენტი, რომლის პრეზენტაციაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 22 ივლისს მოეწყო, ამცნობს, რომ რეესტრში შევა მონაცემები მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, ფართობის და გამოყენების (დანაშნულების) შესახებ. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა გამოყენებული იქნება მონაცემების ეფექტური შეგროვების და ანალიზის უზრუნველყოფისთვის, ხოლო ჩართული პერსონალი გაივლის სპეციალურ ტრენინგებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სტრატეგიის პრეზენტაცია გაიმართა მინისტრის გარეშე, რადგანაც მისი შეცვლა უკვე გამოცხადებული იყო ამ დროისთვის (შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა 7 მინისტრის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის მინისტრის შალვა ფიფიას, შეცვლის შესახებ 22 ივლისს).

DAILY NEWS, 23 ივლისი, 2014

აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სამსახური სწავლობს საქართველოს სასურსათო პოტენციალს

მაიკლ შტეინერი, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ეროვნული სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სამსახურის ექსპერტი, შეხვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოქმედ მინისტრს ოთარ დანელიას. სამინისტროს თანახმად, მხარეებმა განიხილეს აშშ-ს მიერ ინიცირებული საქართველოს სოფლის მეურნეობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ხორციელდებოდა 2013 წლიდან. როგორც შტეინერი ამბობს, არსებობს გლობალური სასურსათო კრიზისის რეალური საფრთხე, ასე რომ აშშ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის სტატისტიკას სხვადასხვა ქვეყნებში. "ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ დაიწყოთ პილოტური პროგრამა საქართველოში, რომელიც შეისწავლის ქვეყნის სასურსათო პოტენციალს", აცხადებს ექსპერტი და მიუთითებს, რომ "პროექტი, რომელმაც უნდა განსაზღვროს პირველ ეტაპზე შერჩეული სიმინდის და ხორბლის პროდუქტიულობა, მომავალ კვირას დაიწყება".

DAILY NEWS, 24 ივლისი, 2014

სოფლის მეურნეობის მინისტრი: ყველა პროექტი გადაიხედება

სოფლის მეურნეობის ახალმა მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ ყველა ის პროექტი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს სამინისტროს ძალისხმევით, გადაიხედება. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროექტები უფრო მისაღები იყოს ფერმერების და მეწარმეებისთვის, განაცხადა მან. "ჩვენ მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის დაჩქარება და მასშტაბების

გაზრდა. მოხდება აგრარული კოოპერატივების დახმარება და ხელშეწყობა, ასევე მოხდება საგანმანათლებლო სისტემის და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სრულყოფა. ჩვენ ვგეგმავთ განვავითაროთ სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, რომლებიც არ იყო პოპულარული ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, მაგრამ რომლებიც უნდა განვითარდეს", განაცხადა მინისტრმა. გარდა ამისა, დაწესდა განაცხადა, რომ ღონისძიებები დაგეგმილია სოფლის მეურნეობის პროდუქციის სტანდარტიზაციის და სურსათის უვნებლობის საკითხებში. მინისტრმა აღნიშნა ასევე: "ჩვენ ვგეგმავთ სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ჩვენი თანამშრომლებისთვის სამინისტროში და რეგიონულ სამსახურებში, ოპტიმიზაციის პროცესი განხორციელდება ყველა მიმართულებით, საჭიროების მიხედვით".

DAILY NEWS, 28 ივლისი, 2014

რძის პროდუქტებს შორის ქართველ მომხმარებელს ურჩევნია არაჟანი, ხოლო კვეფირი ნაკლებად პოპულარულია

Market Intelligence Caucasus (საერთაშორისო კვლევითი კომპანიის TNC-ის ოფიციალური ლიცენზიატი საქართველოში) და Marketer-ის ერთობლივი კვლევის თანახმად ქართველ მომხმარებელს ინდუსტრიულად დამზადებულ რძის პროდუქტებს შორის ურჩევნია არაჟანი (70%), ხოლო კვეფირი ნაკლებად პოპულარულია (8%). ერთი კატეგორიის რძის პროდუქტებს მოიხმარს გამოკითხულთა 15%, ორ კატეგორიას 31%, სამს 28%, ოთხს 18%, ხოლო 8% არ მოიხმარს რძის პროდუქტებს. ამასთან, ყველაზე პოპულარულია კულტივირებული რძის პროდუქტების ნაზავი (არაჟანი, ხაჭო, მაწონი) და კარაქი (22%). ინდუსტრიულად წარმოებულ რძეს მოიხმარს რესპონდენტთა 38%. ამასთან, მოხმარება თბილისში აღემატება რეგიონების მონაცემს და არის 45% - 33%-თან, რაც კვლევის ავტორებმა რეგიონებში შინაური რძის ხელმისაწვდომობის უფრო მაღალი დონით ახსნეს. განსხვავება დედაქალაქსა და რეგიონებს შორის ყველაზე მაღალია ინდუსტრიულად დამზადებული ყველის მოხმარებაში 55% თბილისში და 7% რეგიონებში. ყველა კატეგორიის აგრეგირებული მომხმარებლის თვალსაზრისით ლიდერი მწარმოებელია სანტე 84%, შემდეგ არიან სოფლის ნობათი (50%), ეკო ფუდი (33%) და ჩუდო (21%). კვლევა ჩატარდა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, მთლიანობაში 1 000 პირის მონაწილეობით.

DAILY NEWS, 31 ივლისი, 2014

შვედეთის ექსპერტები დაეხმარებიან საჯარო რეესტრს სასოფლო-სამეურნეო მიწების პირველადი რეგისტრაციის ერთიანი სტრატეგიის შემუშავებაში

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გამოაცხადა შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის (SIDA) და შვედეთის მიწის რეგისტრაციის, კადასტრის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის (Lantmateriet) სააგენტოებთან ერთად ახალ ერთობლივ პროექტზე მუშაობის დაწყების შესახებ. პროექტი წელს დაიწყება და დასრულდება 2018 წელს. სააგენტოს ცნობით, შვედი ექსპერტები დაეხმარებას აღმოუჩინენ რეესტრს სოფლის მეურნეობის მიწების პირველადი რეგისტრაციის ერთიანი სტრატეგიის განვითარებაში. პროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მხარდაჭერა საქართველოს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნაში, რაც ითვალისწინებს მონაცემების ხელმისაწვდომობას და ჰარმონიზაციას ევროპულ კანონმდებლობასთან. პროექტის მხარდაჭერით გაგრძელდება დამისამართების პროექტი და შეიქმნება მონაცემების დამუშავების ერთიანი სტანდარტი, განაცხადეს სააგენტოში.

DAILY NEWS, 31 ივლისი, 2014

პილოტური პროექტი დაიწყო აბაშაში და ლაგოდეხში, რომლის მიზანია სიმინდის მოსავლიანობის შეფასება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დახმარებით პროექტის განხორციელება დაიწყო აბაშაში (სამეგრელო) და ლაგოდეხში (კახეთის რეგიონი), რომლის მიზანია სიმინდის პროდუქტიულობის შეფასების მეთოდოლოგიის პილოტური ტესტირება. პირველ ეტაპზე სიმინდის ნათესების ტერიტორიები შეირჩა და შეგროვდა ძირითადი ინფორმაცია პროდუქტიულობის შეფასებისთვის, განაცხადეს სამინისტროში. მეორე ეტაპი დაგეგმილია აგვისტო-სექტემბერში, როდესაც მოხდება პროდუქტიულობის წინასწარი შეფასება. აღნიშნული

პროექტი ხორციელდება USDA-ს 4-წლიანი "საქართველოს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ინიციატივის" ფარგლებში.

DAILY NEWS, 1 აგვისტო, 2014

+++ AGRO NEWS ARMENIA +++

სათბურების კომპანიას დღგ-ს გადახდის გადავადების უფლება მიეცა

სომხური კომპანია სასათბურე მეურნეობა, რომელიც სათბურის ბოსტნეულს და ყვავილებს აწარმოებს, აპირებს ააშენოს ახალი სასათბურე მეურნეობა არმავირის რეგიონში, სომხეთი, 30 ჰა ფართობით და მოახდინოს ინვესტირება 8,1 მილიარდი დრამის მოწყობილობაში, რომელიც იმპორტირებული იქნება საფრანგეთიდან და ჰოლანდიიდან, მთავრობამ განაცხადა დღეს, რითაც ახსნა გადაწყვეტილება მისცეს კომპანიას დღგ-ს გადახდის გადავადების უფლება. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის ინვესტიციები აღემატება 200 მილიონ დრამს, დღგ-ს გადახდის გადავადება შეიძლება მოხდეს მაქსიმუმ სამი წლით. კომპანია იმედოვნებს, რომ აწარმოებს 1,72 მილიარდი დრამის პროდუქციას წელიწადში 2015 წელს და ექსპორტის დიდი ნაწილი მოხდება დსთ-ს და ევროკავშირის ქვეყნებში. სათბურები შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს საშუალო ხელფასით 125-135 ათასი დრამი. გადავადების უფლება ადრე მიენიჭა კომპანიებს, რომლებსაც შემოაქვთ იმპორტით 300 მილიონ დრამზე მეტი ღირებულების თანამედროვე აღჭურვილობა და ტექნოლოგია, რათა გაზარდონ გამომუშავება და მოახდინონ წარმოების ობიექტების მოდერნიზაცია. 17 აპრილს მთავრობამ შეამცირა ზედა ზღვარი 200 მლნ დრამამდე.

24 ივლისი, ARKA

სომხეთის ხილის და ბოსტნეულის ექსპორტის ზრდის ტენდენცია

სომხეთის ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტმა შეადგინა 27 370 ტონა, მაშინ როდესაც 37 000 ტონა იყო შესაბამის პერიოდში გასულ წელს, განუცხადა სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ რობერტ მაკარიანმა Tert.am-ს. ყურძნის ექსპორტმა შეადგინა 2 620 ტონა და გარგარის ექსპორტმა კი 1 700 ტონა. კარტოფილის ექსპორტი იყო 19 443 ტონა, კომბოსტოს და ყვავილოვანი კომბოსტოს 1 493 ტონა, მწვანილების 731 ტონა, ჭარხალის და ბოლოკის 653 ტონა, წიწაკის 60 ტონა, ლობიოს 22 ტონა. მაკარიანმა აღნიშნა, რომ ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი, გარგარის გარდა, გაიზარდა. სომხეთი ძირითადად ხილის და ბოსტნეულის ექსპორტს აწარმოებს საქართველოში, რუსეთში, ერაყში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში და ქუვეითში.

31 ივლისი, Tert.am